

## №27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის

### ოქმი №22

ქ. მცხეთა

14.11.2020

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ აზარაშვილი, ვარლამ ფერაძე, ამირან მარტოლეკი, ნათია წიპტაური, გია თაბაგარი, ნანა კაპანაძე, თინა ხუბაშვილი, დავით ორტოლაშვილი, შორენა ბერიძე, ნანა რაზმაძე, ეთერ მერებაშვილი.

მოსმინეს: კომისიის თავმჯდომარემ რობერტ აზარაშვილმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

1. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბის არჩევნების მეორე ტურისთვის, №11 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
2. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის № 11 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი)

დღის წესრიგის პროექტი:

1. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბის არჩევნების მეორე ტურისთვის, №11 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო

უბნებზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

2. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის № 11 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი)

მიღებულია განკარგულება

## განკარგულება № 63/2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის , №11 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

მცხეთა

2020 წლის 14 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის და 77 -ე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე N27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს.

**მუხლი 1.** შეუწყდეს უფლებამოსილება პირადი განცხადების საფუძვეტველზე N11 მაჟორიტარულ ოლქში შემავალ საუბნო საარჩევო კომისიის წევრებს:

1.N11.27.05. ქეთი ბრეგვაძე.

2.N11.27.08. ქეთევან მირესაშვილი

3.N11.27.11. გიული ახვლედიანი

4.N11.19.02. თინათინ არდაზიშვილი

5.N11.19.09. თინა მიგრიული

6.N11.28.27. მირანდა იარაჯული

7.N11.29.05. მანა ხულელიძე

8.N11.29.06. მაკა ავსანჯანიშვილი

9.N11.29.09. ქეთევან ლუდუშაური

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N138 ), მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 11

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი)

მიღებულია განკარგულება

## განკარგულება N64 /2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის № 11 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. მცხეთა

2020 წლის 14 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ივლისის №16/2020 დადგენილების, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №52/2020 განკარგულებისა და „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი



კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის პირველი სექტემბრის №69/2020 განკარგულების საფუძველზე, №27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის №11 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსი, შემდეგ საარჩევნო უბნებზე:

1.N11.19.02.

2.N11.19.09

3.N11.27.05.

4.N11.27.08.

5.N11.27.11.

6.N11.28.27.

7.N11.29.05.

8.N11.29.06.

9.N11.29.09.

**მუხლი 2.** საბუთები მიიღება 2020 წლის 14 ნოემბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, 10 საათიდან – 18 საათამდე მატერიალური სახით, შემდეგ მისამართებზე:

1. №19 თიანეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: დ.თიანეთი რუსთაველის ქ.№54);
2. №27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. მცხეთა აღმაშენებლის ქ.№51);
3. №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. დუშეთი მ. კოსტავას ქ. №23);

4. №29 ყაზბეგის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: დ. სტეფანწმინდა აღმაშენებლის ქ. №9);

ან ელექტრონული სახით შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართებზე:

19 tianeti@cec.gov.ge,

27 mtskheta@cec.gov.ge,

28 dusheti@cec.gov.ge,

29 kazbegi@cec.gov.ge;

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

რ. აზარაშვილი

კომისიის მდივანი

ა. მარტოლევი

